შრომის სამართლის ბიულეტენი

EUROPEAN TIME

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

დაგვისვით შეკითხვები
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com

შრომის სამართალი

ოქტომბერი, 2024

ასოციაცია „ევროპის დროით“ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით გთავაზობთ ყოველთვიურ შრომის ბიულეტენს

ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე

გერმანიის საიმიგრაციო ახალი წესები და ლურჯი ბარათი დასაქმების მიზნებისთვის

გერმანია აფართოებს და ამარტივებს შრომის ბაზარზე წვდომას მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის (ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის) 2023 წლის ნოემბრიდან. საიმიგრაციო კანონმა (Skilled Immigration Act) განიცადა მნიშვნელოვანი განახლება ევროკავშირის 2021/1883 დირექტივის საფუძველზე.

გერმანიის საიმიგრაციო კანონმდებლობის რეფორმები სამ ეტაპად დაინერგება (2023 წლის ნოემბერში, 2024 წლის მარტსა და 2024 წლის ივნისში). ახალი კანონის პირველი ეტაპი, რომელიც გაუადვილებს კვალიფიციურ მუშაკებს ევროკავშირის გარედან გერმანიაში გადასვლას, დაიწყება ნოემბერში.

ახალი კანონი მიზნად ისახავს კვალიფიციური უცხოელი მუშაკების მოზიდვას. გერმანია ზრდის მესამე ქვეყნების მოქალაქეთა დასაშვებ რაოდენობასაც დასაქმების მიზნით, რომელიც წელიწადში მიაღწევს 60 000-ს.

საიმიგრაციო კანონმდებლობის რეფორმები განსაკუთრებით ფოკუსირებულია პროფესიული განათლების მქონე პირებზე. ასევე, შემსუბუქდება უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური პროფესიონალებისთვის არსებული წესებიც.

უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური პირებისთვის არსებული მექანიზმი, როგორიცაა ევროკავშირის ლურჯი ბარათი, აგრძელებს მოქმედებას და ზოგიერთ შემთხვევაში ფართოვდება კიდეც. ხოლო ზემოაღწერილის შესაბამისი ახალი შესაძლებლობების ბარათი ***(Chancenkarte)*** საშუალებას აძლევს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს პროფესიული განათლებით დასაქმდნენ გერმანიაში.

ერთ-ერთი ცვლილება შეეხო IT სპეციალისტებს: IT სპეციალისტებს ახლა შეუძლიათ მიიღონ ევროკავშირის ლურჯი ბარათი, თუ მათ არ აქვთ უნივერსიტეტის ხარისხი, მაგრამ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ აქვთ მინიმუმ სამი წლის პროფესიული გამოცდილება.

ფართოვდება დეფიციტური პროფესიების სია: გარდა არსებული დეფიციტური პროფესიებისა (მათემატიკა, IT, მეცნიერება, ინჟინერია და ადამიანის მედიცინა), შემდეგ პროფესიებში კვალიფიციურ მუშაკებს შეუძლიათ მიიღონ ევროკავშირის ლურჯი ბარათი:

- წარმოების, სამთო, სამშენებლო ან დისტრიბუციის მენეჯერები;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისის მენეჯერები;
- პროფესიული სერვისების მენეჯერები, როგორიცაა ბავშვთა მოვლის ან ჯანდაცვის სერვისების მენეჯერები;
- ვეტერინარები;
- სტომატოლოგები;
- ფარმაცევტები;
- საექთნო ან მეანობის პროფესიონალები;
- სკოლის და სკოლის გარეთ მასწავლებლები და აღმზრდელები.

წყარო:
https://www.euronews.com/travel/2023/10/16/skilled-workers-are-in-demand-as-germany-tackles-labour-shortage-with-new-points-based-vis

https://www.make-it-in-germany.com/en/visa-residence/skilled-immigration-act

მოგვწერეთ, გვკითხეთ
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com
eka_kardava@yahoo.com